ხელშეკრულება მომსახურების
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 11

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 20 იანვარი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო - თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი ორგანიზაცია") და მეორეს მხრივ შპს „სი-ეს -ენ" კავკასია გენერალური დირექტორის მერაბ სტურუას სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") წოდებული მხარეებად, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი
ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს წიგნის პრეზენტაციის (მთავრობის წევრები, დიპლომატიურ კორპუსი და რელიგიური ორგანიზაციები) ფარგლებში სათარჯიმნო მომსახურების შესყიდვა (CPV79540000) (სინქრონული თარგმანი მიმწოდებლის აპარატურით) ქ. თბილისი, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის შენობა რუსთაველის გამზირი N6.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1. ხელშეკრულების ობიექტის ღირებულება შეადგენს 1298 (ერთი ათას ორასოთხმოცდათვრამეტი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება "მიმწოდებელს".

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები
3.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის შენობა რუსთაველის გამზირი N6.
3.2. მომსახურების გაწევის თარიღი და დრო 2017 წლის 24 იანვარი 12 საათი.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარება
4.1. მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები:
5.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, "მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.
5.3. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ერთ ეტაპად. 5.2. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
6.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" უფლებამოსილია:
6.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება; აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
6.1.2. აწარმოოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
6.2. "შემსყიდველი ორგანიზაცია" ვალდებულია:
6.2.1. მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;
6.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

6.3.1. მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება.

6.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.4.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სრულყოფილად, კეთილსინდისიერად და უნაკლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით;

6.4.2. საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხერშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით;

8.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან;

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

9.1. მხარეთა შეთანხმება;

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

9.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

10.2. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაწეული მომსახურების ღირებულების 0,2 (ნოლი მთელი, ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით,

11.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

მუხლი 12. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების კონტროლი

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

12.1.1 ადმინსტრაციული სამსახურის უფოსი მალხაზ აფციაური.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 14. განსაკუთრებული პირობები

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) გვერდზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს

14.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება "მიმწოდებელს", ხოლო ერთი ინახება "შემსყიდველ ორგანიზაციაში".

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი ორგანიზაცია"	"მიმწოდებელი"
რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7 სახელმწიფო ხაზინა ს/კ 205311232	შპს „სი-ეს -ენ" კავკასია ქ. თბილისი, სს თიბისი ბანკი ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE37TB0600000011467523 ს/კ 205035148
სააგენტოს თავმჯდომარე	გენერალური დირექტორი
/ ზ. ვაშაყმაძე /	/ მ.სტურუა /